INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

# „ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესაძლო ვალდებულებების აღწერა და IDFI-ს რეკომენდაციები“

მარტი, 2016 წ.

IDFI მიიჩნევს, რომ აუცილებელია ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმას დაემატოს პასუხისმგებელი უწყებები და ვალდებულებები, რაც ხელს შეუწყობს OGP-ს პრინციპებისა და ღირებულებების გავრცელებას აღმასრულებელ ხელისუფლებაში. 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმაში ჩართული იყო მხოლოდ 16 პასუხისმგებელი უწყება.

IDFI-ს შეთავაზებაა OGP-ს ფორუმს დაემატოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტრო (რომელმაც გამოთქვა მზადყოფნა კონკრეტული ვალდებულებით შეუერთდეს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმას), საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, სსიპ კონკურენციის სააგენტო, სს „საქართველოს რკინიგზა“, კანონით „თავისუფლების ქარტია“ გათვალისწინებული კომისია, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია, სს „საპარტნიორო ფონდი“, სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“ და მუნიციპალიტეტები, რომლებიც პილოტურ რეჟიმში გამოთქვამენ მზადყოფნას გაიზიარონ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ წევრი ქვეყნების პრაქტიკა საჯარო მომსახურების გაუმჯობესებას, მოქალაქეთა ჩართულობასა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებასთან დაკავშირებით.

IDFI-მ მოამზადა სარეკომენდაციო ვალდებულებების კონცეფცია, რომელთა ასახვა ახალ სამოქმედო გეგმაში ხელს შეუწყობს ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპების დანერგვას. IDFI-ს, ასევე, აქვს კონკრეტული შეთავაზება რამდენიმე უწყების წარმოდგენილ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

# სარჩევი

1. **საჯარო სამსახურის ბიურო** (შენიშვნები წარმოდგენილ ვალდებულებასთან დაკავშირებით) ..... 4

2. **სსიპ „112“** (შენიშვნები წარმოდგენილ ვალდებულებასთან დაკავშირებით) ..... 4

3. **საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო** ..... 5

4. **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო** ..... 5

5. **საქართველოს თავდაცვის სამინისტრო** ..... 5

6. **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო** ..... 6

7. **საქართველოს მთავარი პროკურატურა** ..... 6

8. **საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო** ..... 6

9. **კორპორაციული გამჭვირვალობის დამკვიდრება ფინანსური ანგარიშის ღიაობის გზით** ..... 7

**8.1. ანგარიშვალდებული სააქციო საზოგადოებების და საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების ფინანსური ანგარიშის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა** ..... 8

**8.2. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია) მიერ რეგულირებადი საწარმოების გამჭვირვალობის გაზრდა** ..... 8

**8.3. სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების გამჭვირვალობის გაზრდა** ..... 9

10. **მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივაში (EITI) საქართველოს ინტეგრაციის ხელშეწყობა** ..... 10

11. **მუნიციპალიტეტების პილოტურ რეჟიმში ფორუმის წევრებად ჩართვა** ..... 11

12. **კონკურენციის სააგენტოს გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაძლიერების ხელშეწყობა** ..... 12

13. **დანაშაულის პრევენციის მიზნით მუნიციპალიტეტის ორგანოებთან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ჩართულობის საბჭოს (პილოტური ვერსიის) შექმნა** ..... 13

14. **კანონით „თავისუფლების ქარტია“ გათვალისწინებული კომისიის ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა, საქმიანობის პროცესის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების გაზრდა** ..... 15

15. **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური** ..... 16

16. **სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს გამჭვირვალობის ზრდის ხელშეწყობა** ..... 16

## 1. **საჯარო სამსახურის ბიურო** (შენიშვნები წარმოდგენილ ვალდებულებასთან დაკავშირებით)

საჯარო სამსახურის ბიუროს აქტივობებთან დაკავშირებით, IDFI თვლის, რომ აუცილებელია „ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის (e-HRMS) დანერგვა ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში“ ვალდებულება შეიცვალოს და თვითმმართველობების ნაცვლად მისი სამიზნე საჯარო სამართლის იურიდიული პირები გახდეს. აღნიშნული აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა ჯერ სრულად დაინერგოს ცენტრალური ხელისუფლების ყველა რგოლში.

OGP-ში საჯარო სამსახურის ბიუროს 2016-2017 წლების ვალდებულებებში, ასევე, მოცემულია „საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება. IDFI მიიჩნევს, რომ აღნიშნული ვალდებულების სისრულისათვის აუცილებელია „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მომზადება და დამტკიცება. აღნიშნულის საჭიროება გამოწვეულია იმით, რომ შეუძლებელია ანაზღაურების სისტემის მოწესრიგება შრომის შეფასების სისტემის მოწესრიგების გარეშე. შესაბამისად, საჭიროა საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონის 53(1) მუხლის თანახმად შემუშავდეს მოხელის შეფასების სისტემა და აისახოს OGP-ს სამოქმედო გეგმაში.

ამასთანავე, IDFI თვლის, რომ სასარგებლო იქნებოდა საჯარო სამსახურის ბიუროს ვალდებულებებს დაემატოს საჯარო და სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ პირთა შესახებ სტატისტიკის განახლება. აღნიშნული გამოწვეული არის იმით, რომ ბიუროს ვებგვერდზე არსებული სტატისტიკა (რომელიც ამჟამად უკვე აღარ დევს ბიუროს ვებგვერდზე) არის მოძველებული და არ ასახავს რეალურ მაჩვენებლებს.

## 2. **სსიპ „112“** (შენიშვნები წარმოდგენილ ვალდებულებასთან დაკავშირებით)

სასარგებლო იქნებოდა 112-ის ვალდებულებებში დაემატოს სხვადასხვა ტიპის სტატისტიკის წარმოება და ვებგვერდზე განთავსება. აღნიშნული ხელს შეუწყობს როგორც მოქალაქეთა ინტერესის დაკმაყოფილებას, ისე გამჭვირვალობის გაზრდას უწყების საქმიანობასთან დაკავშირებით

## 3. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

IDFI მიიჩნევს, რომ აუცილებელია ღია მმართველობის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმას დაემატოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვალდებულებები. კერძოდ, ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში სამინისტრო შეიმუშავებს კორუფციის პრევენციის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიას. კორუფციის პრევენციის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია გავრცელდება არა მხოლოდ სამინისტროს ცენტრალურ აპარატზე, არამედ სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე.

აღნიშნული სტრატეგია მოიცავს როგორც კორუფციის პრევენციის საკითხს, ისე საჯარო ეთიკის, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მიმართულებებს.

## 4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

გამომდინარე იქედან, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო არის ბიუჯეტის ყველაზე მსხვილი მხარჯავი დაწესებულება, აუცილებელია საზოგადოების ინფორმირების ახალი მექანიზმების შემუშავება და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შესახებ ახალი ანგარიშების წარმოება და საზოგადოებაში გავრცელება. ამჟამად არ არსებობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შესახებ საზოგადოების ინფორმირების და ანგარიშგების ისეთი მექანიზმი, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის იქნება გათვლილი. ყურადსაღებია ისიც, რომ 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმაში ჯანდაცვის სამინისტრო წარმოდგენილი იყო კონკრეტული ვალდებულებით, ხოლო 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმაში არ ჰქონდა აღებული არცერთი ვალდებულება.

## 5. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

გამომდინარე იქედან, რომ თავდაცვის სამინისტრო აქამდე არ ყოფილა ჩართული OGP-ს არც ერთ სამოქმედო გეგმაში და იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ უწყებაში გამჭვირვალობის კუთხით ბევრი ნაბიჯის გადადგმა არის შესაძლებელი, IDFI მიიჩნევს, რომ თავდაცვის სამინისტროს ჩართულობა სასარგებლო იქნებოდა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. თავდაცვის სამინისტროს ვალდებულებები შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც თავდაცვის სისტემის გამჭვირვალობის (სამინისტროს საქმიანობის გამჭვირვალობის საკონსულტაციო საზოგადოებრივი საბჭოს შექმნა), ისე შესყიდვების გამჭვირვალობის და ღია მმართველობის სხვადასხვა პრინციპების დანერგვის კუთხით.

## 6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

IDFI-ს რეკომენდაციაა შსს-ს აქტივობებს დაემატოს სისხლის სამართლის სტატისტიკის ვიზუალიზაციის ვალდებულება და გენერალური ინსპექციის საქმიანობის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდის ვალდებულება. გენერალური ინსპექციის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდის თვალსაზრისით შესაძლოა უწყებამ აწარმოოს და გამოაქვეყნოს სტატისტიკა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური დევნის შესახებ. აღნიშნული სტატისტიკა შესაძლოა იყოფოდეს დისციპლინური გადაცდომების, მიმართვების და თავად სამინისტროს მიერ დაწყებული გამოძიებების მიხედვით. აღნიშნული ვალდებულების განხორციელება ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებას შსს-ში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ამავდროულად გაზრდის სამინისტროს გენერალური ინსპექციის გამჭვირვალობას, რომელიც აქამდე სამინისტროს საკმაოდ დახურული ნაწილი იყო.

## 7. საქართველოს მთავარი პროკურატურა

IDFI მიიჩნევს, რომ აუცილებელია საქართველოს მთავარი პროკურატურის გააქტიურება OGP-ის ფარგლებში მეტი გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით, ისევე, როგორც გაუმჯობესებული საჯარო მომსახურების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების თუ სხვა საკითხებში. აღსანიშნავია, რომ მთავარი პროკურატურა ვებგვერდზე არ აქვეყნებს სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ სტატისტიკას. ამასთანავე, პროკურატურა 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმაში ჩართული იყო, როგორც მხოლოდ პარტნიორი უწყება. IDFI თვლის, რომ აუცილებელია პროკურატურამ აწარმოოს ყოვლისმომცველი სტატისტიკა საკუთარი საქმიანობის შესახებ. მსგავსი აქტივობები ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებას სისხლისსამართლებრივი დევნის (და მასში  არსებული ტენდენციების) შესახებ. გარდა სტატისტიკის წარმოებისა და გამოქვეყნებისა, სასარგებლო იქნებოდა პროკურატურამ თავად წარმოადგინოს ის ვალდებულებები, რომლითაც შეუერთდებოდა ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმას და OGP-ს ფორუმს.

## 8. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო არ მონაწილეობდა OGP-ს არც ერთ სამოქმედო გეგმაში და ასევე არ არის OGP-ს ფორუმის წევრი. IDFI-ს რეკომენდაციაა 2017-2017 წლების სამოქმედო გეგმაში სასჯელაღსრულების სამინისტრო ჩაერთოს საკუთარი ვალდებულებებით. IDFI-ს, ასევე, აქვს შეთავაზება კონკრეტული ვალდებულების ჩამოყალიბების კუთხითაც, რაც მოიცავს სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის შექმნას. აღნიშნული ვალდებულების აღება და განხორციელება საკმაოდ დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ელექტრონული მმართველობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამასთანავე, IDFI აცნობიერებს, რომ

აღნიშნული აქტივობის შესრულება დიდ ფინანსურ და ადამიანურ რესურსს მოითხოვს, თუმცა მისი წარმატებით განხორციელება ძალიან დიდ შედეგს მოუტანს როგორც სამინისტროს ისე მთლიანად OGP-ს ფორუმსა და მის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმას.

IDFI-ს რეკომენდაციაა OGP-ს ფარგლებში სასჯელაღსრულების სამინისტრომ გადადგას კონკრეტული ნაბიჯები ყოფილი პატიმრების პირადი საქმის მასალების ელექტრონული დაარქივების კუთხით. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის ძველი პირადი საქმის მასალები არ არის დაარქივებული და განადგურების საფრთხის წინაშეა. აუცილებელია პირველ ეტაპზე მოხდეს ამ დოკუმენტების ფიზიკური ფორმით დაარქივება/დახარისხება და შემდეგ მათი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა და შენახვა.

მნიშვნელოვანია სასჯელაღსრულების სამინისტროში შექმნას გამჭვირვალობის საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც სამინისტროში გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და მოქალაქეთა ჩართულობის განვითარებას უწყობს ხელს.

## 9. კორპორაციული გამჭვირვალობის დამკვიდრება ფინანსური ანგარიშის ღიაობის გზით

კორპორაციული გამჭვირვალობა არის ინვესტორების ნდობის და კრედიტორების დაცულობის ერთერთი მთავარი საფუძველი. საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინვესტიციების მიზიდვა და ნდობაზე დაფუძნებული საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრება.

ფინანსური ანგარიშის ღიაობა ევროკავშირის წევრი ქვეყნების, მათ შორის იმ ქვეყნების, რომლებიც ამავდროულად ღია მმართველობის პარტნიორობის წევრი ქვეყნები არიან, დამკვიდრებული პრაქტიკაა. ფინანსური ანგარიში როგორც წესი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება, კერძოდ, ეს საკითხებია: ბალანსი; მოგებისა და ზარალის ანგარიშგება; ფულადი ნაკადების ანგარიშგება; ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ; ანგარიშის განმარტებები; მენეჯმენტის ანგარიში; თანამშრომლების რაოდენობა. ანგარიში ფულადი საზომით იძლევა განზოგადებულ წარმოდგენას დროის კონკრეტული პერიოდისთვის საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ.

ფინანსური ანგარიშის ღიაობას განამტკიცებენ ისეთი სახელმწიფოები როგორიცაა გაერთიანებული სამეფო, გერმანია, ლატვია, ნიდერლანდები, შვედეთი, ხორვატია და სხვა ქვეყნები. ამ სახელმწიფოებში ფინანსური ანგარიში ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ასევე აღნიშნულ ქვეყნებში ანგარიშგების ვალდებულება არ ვრცელდება მხოლოდ იმ სააქციო საზოგადოებებზე, რომლებიც ვაჭრობენ საფონდო ბირჟაზე აქციებით, არამედ ვრცელდება ზოგადად სააქციო საზოგადოებებსა და ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებზე.

ფინანსური ანგარიშის ხელმისაწვდომობა არის ინვესტორის და კლიენტის მხრიდან ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. კერძოდ: ინვესტორებისთვის

ადვილია გადაწყვეტილების მიღება, ღირს თუ არა პირველადი/დამატებითი ინვესტიციის ჩადება კომპანიაში; კრედიტორისთვის ადვილი შესაფასებელია, შეძლებს თუ არა ან/და რა პერიოდის განმავლობაში მოვალე კომპანია კრედიტის დაბრუნებას; კლიენტს შესაძლებლობა ეძლევა განსაზღვროს, თუ რამდენად არის მოსალოდნელი შეფერხებები ბიზნეს-ოპერაციებში (მაგ.: საქონლის/მომსახურების მიწოდებაში); აუდიტორს შეუძლია ობიექტური შეფასება მისცეს საწარმოს საქმიანობას; ანალიტიკოსებისთვის შესაძლებელი ხდება შეაქოს ან გააკრიტიკოს ბიზნესის წარმოების მეთოდები; ხელისუფლებას შესაძლებლობა ეძლევა დაიცვას მოქალაქეები თაღლითობისგან; თავად კომპანიას საშუალება ეძლევა მოახდინოს ბიზნესის სიჯანსაღის დემონსტრირება  და მოძებნოს პოტენციური ინვესტორები.

საქართველოს შემთხვევაში მნიშვნელოვანია ჩავრთოთ ფორუმის საქმიანობაში დამატებითი მონაწილეები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათ მიერ რეგულირებადი საწარმოების ფინანსური საქმიანობის ღიაობას და გამჭვირვალობას. ხოლო კორპორაციული გამჭვირვალობის ვალდებულების ქვეშ აღებული აქტივობები უნდა დაუკავშირდეს არა მხოლოდ საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრე კორპორაციებს, არამედ ზოგადად საფინანსო სექტორს, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოებს და ეროვნული მარეგულირებელი კომისიების მიერ რეგულირებად საწარმოებს.

## 8.1. ანგარიშვალდებული სააქციო საზოგადოებების და საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების ფინანსური ანგარიშის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია ფორუმის მონაწილედ ეროვნული ბანკის, როგორც ორგანული კანონის თანახმად საფინანსო სექტორზე ზედამხედველობის განმახორციელებელი უწყების ჩართვა, ასევე, ფორუმის წევრად უნდა მოვიწვიოთ საქართველოს ბანკების ასოციაცია. მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი იყოს საფინანსო სექტორის ყველა წარმომადგენლის ფინანსური ანგარიშის ღიაობა. კერძოდ, „ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, საფინანსო სექტორის წარმომადგენლები არიან:  კომერციული ბანკი, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, საბროკერო კომპანია, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი, აქტივების მმართველი კომპანია, ცენტრალური დეპოზიტარი, სპეციალიზებული დეპოზიტარი, საფონდო ბირჟა, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი, სადაზღვევო საბროკერო კომპანია, ანგარიშვალდებული საწარმო, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი.

## 8.2. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია) მიერ რეგულირებადი საწარმოების გამჭვირვალობის გაზრდა

კორპორაციული გამჭვირვალობის ვალდებულების განხორციელებაში მნიშვნელოვანია ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია) ჩართვა და მათ მიერ რეგულირებადი საწარმოების ფინანსური ანგარიშის ღიაობა.

სფეროები, რომლებსაც ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები უწევენ ზედამხედველობას, წარმოადგნენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სფეროებს (მაგალითად, გაზი, ელექტროენერგია, წყლის რესურსები), ხოლო აღნიშნულ სფეროებში მოღვაწე კომპანიები არიან განსაკუთრებული საჯარო ინტერესის მქონე (ე.წ.Public interest entity) საწარმოები.

კერძოდ, განსაკუთრებული საჯარო ინტერესის მქონე  საწარმოების - Public interest entity - ფუნქციონირებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ფინანსური სტაბილურობისთვის, ასევე მათი გაკოტრებით მრავალი ინვესტორი თუ სხვა დაინტერესებული ადამიანი იზარალებს. ევროკავშირის ქვეყნებში განსაკუთრებული საჯარო ინტერესის მქონე საწარმოებს მიეკუთვნებიან ფინანსური ინსტიტუტები, კომპანიები რომელთა აქციები ივაჭრება ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიები, ბუნებრივი რესურსების სფეროში მოღვაწე კომპანიები, საინვესტიციო კომპანიები და სხვა.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების ფორუმის წევრებად ჩართვდა და მათ მიერ რეგულირებადი საწარმოების ფინანსური ანგარიშის ღიაობა.

## 8.3. სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების გამჭვირვალობის გაზრდა

სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული კვლევების, მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის - სახელმწიფო საწარმოების მართვის და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) - სახელმწიფო საწარმოები საქართველოში და მათი ეფექტიანობა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ განხორციელებული კვლევა „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება“ მიუთითებენ სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოების კატასტროფულად მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე, რომლის ერთერთ მთავარ საფუძვლად მიაჩნიათ გაუმჭვირვალობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტების დაუმკვიდრებლობა.

სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოები არიან საბიუჯეტო და განსაკუთრებული საჯარო ინტერესის მქონე ორგანიზაციები, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი ფინანსური ანგარიშის ღიაობა. აღნიშნული ვალდებულების განხორციელებაში ასევე სასურველი იქნება თუ ჩავრთავთ „საპარტნიორო ფონდს“, თუმცა საპარტნიორო ფონდის ჩართულობა არ უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ საპარტნიორო ფონდის მონაწილე კომპანიების გამჭვირვალობის ზრდის ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია ყველა სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოს ფინანსური ანგარიშის ხელმისაწვდომობა.

# 10. მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივაში (EITI) საქართველოს ინტეგრაციის ხელშეწყობა

მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა (EITI) გლობალური სტანდარტია, რომელსაც მრავალი სახელმწიფო, დაინტერესებული პირი და ორგანიზაცია უჭერს მხარს. ინიციატივა მიზნად ისახავს ეროვნული რესურსების ღია და ანგარიშვალდებულ მენეჯმენტს და ამ თვალსაზრისით მთავრობათა და კომერციული იურიდიული პირების მართვის სისტემების გაუმჯობესებას.

მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა (EITI) განსაკუთრებით რელევანტურია საქართველოში, რადგან აშკარაა საზოგადოების არასაკმარისი ინფორმირებულობა ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა თუ ტრანზიტთან დაკავშირებულ საკითხებზე, რამაც გამოიწვია დაპირისპირება და კონფლიქტები სოციალურ ნიადაგზე. მაგალითად, ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროებში დასაქმებული პირების გაფიცვები, საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს საბადოსთან დაკავშირებით დაწყებული დაპირისპირება, რუსეთიდან შესაძლო დამატებითი გაზმომარაგების საკითხი. EITI ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების ზრდას და მხარეთა შორის (კომერციული იურიდიული პირი და დასაქმებულები) დავის გადაწყვეტას. მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა არის საზოგადოების ინფორმირებულობის მნიშვნელოვანი გარანტი და დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის სოციალური დიალოგის წარმართვის საფუძველი.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს EITI-ში გაწევრიანებას. კერ კიდევ 2012 წელს მომზადებულ რეკომენდაციებში იყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინიციატივა - ,,მოპოვებითი და ტრანზიტის გამჭვირვალობის ინიციატივის (EITI) დანერგვა და განხორციელება საქართველოში", ისევე როგორც, 2013 წელს ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმისთვის შემუშავებულ რეკომენდაციებში - ,,მოპოვებითი და ტრანზიტის გამჭვირვალობის ინიციატივის საქართველოში განხორციელება (EITI)."

საქართველოში მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის პრინციპებისა და პრაქტიკის დანერგვა - ნავთობისა და გაზის ოპერაციებიდან, ისევე როგორც, წიაღით სარგებლობასთან დაუკავშირებელი ნავთობისა და გაზის ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლის და სხვა გადასახადების, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება - მნიშვნელოვნად შეცვლის ბიზნეს გარემოს. მოქალაქეებს შეეძლებათ ყოველწლიურად ნახონ მონაცემები, სადაც ასახული იქნება სხვადასხვა კომერციული იურიდიული პირების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი გაზისა და ნავთობსადენების, ასევე წიაღისეულის სარგებლობის შედეგად საქართველოს ბიუჯეტში ასახული შემოსავლები. ფორუმის წევრად მოწვეული უნდა იყოს როგორც საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ისე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი

რესურსების დაცვის სამინისტრო და სს ,,საქართველოს რკინიგზა," ისევე როგორც, ინდუსტრიაში ჩართული ნებისმიერი კომერციული იურიდიული პირი.

IDFI მხარს უჭერს მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივაში საქართველოს მიერთებას. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა გაუმჯობესებს საინვესტიციო და ზოგადად, ბიზნეს გარემოს, კორპორატიულ მმართველობას, სახელმწიფო პოლიტიკის ღიაობას, აამაღლებს სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობას და კონტროლს ტრანზიტსა და წიაღისეულის მოპოვებაზე, რის შედეგადაც გაუმჯობესდება მთავრობისადმი მოქალაქეების ნდობა და შემცირდება კორუფციის რისკები (გთხოვთ, იხილოთ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ ჩატარებული კვლევა).

## 11. მუნიციპალიტეტების პილოტურ რეჟიმში ფორუმის წევრებად ჩართვა

IDFI-ს მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ OGP-ის წევრი ქვეყნების მიერ თვითმმართველ ერთეულებთან დაკავშირებით აღებული ძირითადი ვალდებულებები უკავშირდება მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას, ელექტრონული პლატფორმების შექმნას, ახალგაზრდების, ხანდაზმულების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობას თვითმმართველი ერთეულების ორგანოების საქმიანობაში და სხვა საკითხებს.

საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვითმმართველ ერთეულებთან მიმართებაში პოლიტიკის გააქტიურება და OGP-ის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება. აღნიშნული უპირველეს ყოვლისა ხელს შეუწყობს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის დებულებების პრაქტიკაში დანერგვას.

IDFI მიიჩნევს, რომ აუცილებელია თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლობითმა და აღმასრულებელმა ორგანოებმა გაიზიარონ ღიაობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ელექტრონული მმართველობის დანერგვის საუკეთესო პრაქტიკა. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ ინიციატივებს როგორიცაა:

1) მონაწილეობითი ბიუჯეტირება, რაც გულისხმობს ადგილობრივი ბიუჯეტის გარკვეული ნაწილის მოქალაქეთა ინიციატივების შესაბამისად განკარგვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს ფინანსური გამჭვირვალობის, ორგანოების ანგარიშვალდებულების და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას;

2) ელექტრონული პლატფორმების შექმნა, რაც ერთი მხრივ შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეებს, რომ მოახდინონ თვითმმართველ ერთეულში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება (ინფრასტრუქტურის გაუმართაობასთან, საგზაო ინციდენტებთან, გარემოსდაცვასთან, პროდუქციის ხარისხთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით) და

მეორე მხრივ, იქნება თვითმმართველი ერთეულების ორგანოებისთვის ფინანსური სახსრების დაზოგვის საშუალება;

3) მონაცემების პროაქტიულად და ადვილად დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნება, განსაკუთრებით ფინანსურ დოკუმენტაციასთან მიმართებაში. ასევე, თვითმმართველი ერთეულების მიერ ისეთი ფინანსური დოკუმენტაციის საჯაროობა, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივი ბიუჯეტით კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების დაფინანსებასთან;

4) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვითმმართველი ორგანოების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე ინფორმაციის მუდმივი განახლება, წარმომადგენლობითი ორგანოების სხდომების დღის წესრიგისა და ოქმების, ასევე, მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნება;

5) ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპების განხორციელებისათვის აუცილებელია თვითმმართველი ერთეულების ორგანოების თანამშრომელთა და ამ ორგანოების საქმიანობაში უფრო აქტიურად ჩართვის მსურველი მოქალაქეების ტრენინგი; გზამკვლევის შემუშავება; ასევე, ახალგაზრდების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და ხანდაზმულების თვითმმართველი ორგანოების საქმიანობაში მეტი ჩართულობის ხელშეწყობა.

მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტები პილოტურ რეჟიმში ჩაერთონ ფორუმის საქმიანობაში და დაიწყოს მათი ორგანოების საქმიანობაში ზემოთ დასახელებული ინიციატივების თუნდაც ნაწილის განხორციელება მაინც.

## 12. კონკურენციის სააგენტოს გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაძლიერების ხელშეწყობა

ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს საქართველოს ხელისუფლების ვალდებულებას, რომ ხელი შეუწყოს საქართველოში კონკურენციის სამართლის შემდგომ განვითარებას და დაახლოვოს ქართული კონკურენციის სამართალი ევროკავშირის კონკურენციის სამართალთან.

კონკურენციის სააგენტო საქართველოში შეიქმნა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. კონკურენციის სააგენტო არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული თავმჯდომარე. კონკურენციის სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე. კონკურენციის სააგენტოს მიზანია საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, კერძოდ: სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა; ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო

პირობების უზრუნველყოფა; ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა; ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა; დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა; ასევე, კონკურენციის სააგენტოს საქმიანობის ერთერთი მიზანია გადაწყვეტილების მიღების დროს მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულების და გამჭვირვალობის დაცვა.

რადგან კონკურენციის სამართალი არის ევროკავშირთან დაახლოების გზაზე ერთერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დარგი, ხოლო კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი დადებითი ან უარყოფითი ზეგავლენა მოახდინონ საბაზრო ურთიერთობის მონაწილეებზე საქართველოში, განსაკუთრებით იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ სააგენტო უშუალოდ პრემიერ-მინისტრის წინაშე არის პასუხისმგებელი, მნიშვნელოვანია კონკურენციის სააგენტოს მოწვევა ღია მმართველობის პარტნიორობის ფორუმში, რათა სააგენტომ გაიზიაროს და საკუთარ საქმიანობაში დანერგოს ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპები. კონკურენციის სააგენტოსთვის სარეკომენდაციო ვალდებულებები შეიძლება იყოს გზამკვლევის შემუშავება ეკონომიკური აგენტებისთვის, გადაწყვეტილების მიღების პროცესის უფრო მეტი საჯაროობა, ელექტრონული მმართველობის დანერგვა სააგენტოს საქმიანობაში და სხვა საკითხები. კონკურენციის სააგენტოს მოწვევა ფორუმში, ხელს შეუწყობს სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს გამჭვირვალობის და ობიექტურობის დაცვას.

## 13. დანაშაულის პრევენციის მიზნით მუნიციპალიტეტის ორგანოებთან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ჩართულობის საბჭოს (პილოტური ვერსიის) შექმნა

საერთაშორისო პრაქტიკაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ადაპტირებული მეთოდი პოლიციის ანგარიშვალდებულების ხელშეწყობის და დანაშაულის პრევენციის საზოგადოებრივი მექანიზმების შემუშავების არის საზოგადოებრივი ჩართულობის საბჭოები.

ჩართულობის საბჭო არ არის პოლიციაზე საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი. საზოგადოებრივი ჩართულობის საბჭო არის ძალოვანი სტრუქტურების საქმიანობაში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობის ინსტრუმენტი, რაც შემდგომში ეხმარება პოლიციას საკუთარი სისტემის ეფექტურ ზედამხედველობაში. ანალოგიური ფუნქციების განმახორციელებელი საბჭოების შექმნა დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან და ამ დროისთვის აშშ-ს მასშტაბით არსებობს 200-ზე მეტი საბჭო. მაგალითად, ქ. დენვერში (Citizen Oversight Board) ან ქალაქ სოლტ ლეიქ სითიში (Panel Review Board).

ამერიკის შეერთებული შტატების საბჭოების მოდელის მიხედვით, საზოგადოებრივი ჩართულობის საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ აგრეთვე საბჭოების ფუნქციონირებას.

საზოგადოებრივი ჩართულობის საბჭო სრულად არის დამოუკიდებელი შინაგან საქმეთა სამინისტროსგან.

საზოგადოებრივი ჩართულობის საბჭოს წევრები საბჭოში მონაწილეობის პერიოდში არ მიიღებენ გასამრჯელოს - (რადგან ეს არის მოქალაქის ვალდებულება - მონაწილეობა მიიღოს დანაშაულის პრევენციის მექანიზმების დანერგვასა და შსს-ს საქმიანობის ხელშეწყობაში).

საზოგადოებრივი ჩართულობის საბჭო განიხილავს მოქალაქეების განცხადებებს პოლიციელთა მხრიდან ჩადენილ გადაცდომებზე, სისხლის სამართლის ნიშნების შემთხვევაში საქმეს უგზავნის პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას; უწევს მოქალაქეებს უფასო იურიდიულ დახმარებას მათ შორის სასამართლოში საქმის შეტანის გზით; აწყობს შეხვედრებს სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, მოსახლეობასთან, ექსპერტებთან და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან; ხელს უწყობს საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას; აწვდის რჩევებს პოლიციას დანაშაულის წინააღმდეგ საზოგადოებრივი ჩართულობის მექანიზმის შესაქმნელად.

საზოგადოებრივი ჩართულობის საბჭო დაკომპლექტებულია 5-დან 10 წევრამდე წარმომადგენლებისგან. საქართველოში მსგავსი საბჭო შესაძლებელია დაკომპლექტდეს შემდეგი სექტორების მიხედვით: მედია; არასამთავრობო ორგანიზაციები; სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური (რადგან იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს უფასო იურიდიულ დახმარებას სისხლის სამართლის საქმეებზე მათ შორის სასამართლოს მიმდინარეობისას); ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი; სტუდენტი; სკოლის მასწავლებელი/ლექტორი; პრობაციის სააგენტოს/სასჯელაღსრულების დეპარტამენტის/დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური მუშაკები; მედიატორი; სახალხო დამცველის წარმომადგენლი.

საზოგადოებრივი ჩართულობის საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ ერთხელ არაუმეტეს 2 წლის ვადით. საზოგადოებრივი ჩართულობის საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ამ საბჭოს წევრი მხოლოდ ერთხელ არაუმეტეს 1 წლის ვადით.

საზოგადოებრივი ჩართულობის საბჭო არის დამაკავშირებელი ღერძი საზოგადოებასა და პოლიციას შორის და ამავდროულად არის პოლიციისადმი ნდობის გაძლიერების და პოლიციაზე საზოგადოებრივი მონიტორინგის ეფექტური საშუალება, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, ძირითადი დატვირთვა და მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ ჩართულობას და მონიტორინგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამ ჩართულობის ნაწილი ანუ საზოგადოება არის ჩართული პოლიციის საქმიანობაში და პოლიცია და საზოგადოება ერთად ებრძვიან დანაშაულს.

რადგან ღია მმართველობის პარტნიორობის მთავარი გამოწვევებია საჯარო მომსახურების გაუმჯობესება და ანგარიშვალდებულების გაზრდა, ხოლო ღია მმართველობის პარტნიორობის წევრი ქვეყნების პრაქტიკაში ხშირია „დაცული თემის“ (Safer Communities) საკითხებთან დაკავშირებული ვალდებულებები, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პილოტურ

რეჟიმში (მაგალითად, რამდენიმე მუნიციპალიტეტში) საზოგადოებრივი ჩართულობის საბჭოების დანერგვა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა.

## 14. კანონით „თავისუფლების ქარტია“ გათვალისწინებული კომისიის ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა, საქმიანობის პროცესის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების გაზრდა

კანონის „თავისუფლების ქარტია“ ერთ-ერთი მიზანია სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ტერორიზმისა და ქვეყნის უშიშროების საფუძვლების ხელყოფის აღკვეთა, ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება, კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკის, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, აგრეთვე კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა.

იმისათვის, რომ განახორციელოს აღნიშნული მიზნები, „თავისუფლების ქარტია“ ითვალისწინებს სპეციალური კომისიის შექმნას, რომელიც აგროვებს მონაცემებს და აწარმოებს იმ პირთა რეესტრს, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ ყოფილი სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან ან რომელთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული მონაცემები ყოფილი სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან მათ ფარულ კავშირზე მიუთითებს. აღნიშნული კანონი, ქმნის მექანიზმს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საბჭოთა სპეცსამსახურების თანამშრომელთა და რეჟიმთან დაკავშირებულ თანამდებობის პირთა აღრიცხვა. მაგალითად, კომისია საჯაროდ აცხადებს იმ პირთა ვინაობას და მათ შესახებ მონაცემებს, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ ან ფარული კავშირი ჰქონდათ ყოფილი სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან, უკავიათ მაღალი თანამდებობა (მინისტრი, მინისტრის მოადგილე, მოსამართლე, გუბერნატორი, სახელმწიფო უნივერისტეტის რექტორი და პრორექტორი, დეკანი და ა.შ.) და ნებაყოფლობით, კანონით დადგენილ ვადაში არ განაცხადებენ უარს ამ თანამდებობაზე.

დღეის მდგომარეობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანონით „თავისუფლების ქარტია“ გათვალისწინებული სახელმწიფო კომისია ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (რომლის შემადგენლობაშიც იქმნება დასახელებული კომისია), ვერ უზრუნველყოფს „თავისუფლების ქარტიის“ პრაქტიკაში განხორციელებას.

იმისათვის, რომ საქართველოში რეალურად განხორციელდეს ლუსტრაცია, ისევე, როგორც ეს მოხდა სოციალისტური ბანაკის სხვა წევრ ქვეყნებში, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს“ (IDFI) აუცილებლად მიიჩნია დასახელებული კომისიის

ეფექტურ ფუნქციონირება. აღნიშნული შესაძლებელი იქნება თუ „თავისუფლების ქარტიით“ გათვალისწინებული კომისია იქნება ფორუმის წევრი და სამოქმედო გეგმით აიღებს სისტემატური შეხვედრების ჩატარებისა და რეესტრის (სადაც შესული იქნება იმ პირთა მონაცემები, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან) შექმნის ვალდებულებას.

## 15. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახური ასევე არ ყოფილა OGP-ს არც ერთი სამოქმედო გეგმის ნაწილი. გამართული სტატისტიკის წარმოება აუცილებელია ყველა საჯარო დაწესებულებაში იმისთვის, რომ საჯარო სექტორში პოლიტიკის წარმართვა ხდებოდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ფორმით. აქედან გამომდინარე, IDFI-ს რეკომენდაციაა სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ვალდებულების სახით შექმნას საჯარო დაწესებულებებში სტატისტიკის წარმოების ერთიანი გზამკვლევი. აღნიშნული დოკუმენტი ხელს შეუწყობს საჯარო სამსახურში სტატისტიკის წარმოების ერთიანი პრინციპების ჩამოყალიბებას და გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას.

## 16. სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს გამჭვირვალობის ზრდის ხელშეწყობა

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველო აქტიურად ახორციელებს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობ სხვადასხვა სახის პროექტებს, რომლის მიზანია საკომლო მეურნეობების განვითარება, სოფლისა და სოფლის მეურნეობების აღორძინების ხელშეწყობა და სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი სხვა მიზნების განხორციელება.

აღნიშნულის ფარგლებში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, რომელიც „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ კანონის თანახმად, ახორციელებს შემდეგ საქმიანობას: კოოპერატივისთვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭება და შეწყვეტა; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფო ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე გრანტების გაცემა; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემების ბაზის შექმნა, რომელშიც აისახება ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ განხორციელებული, მიმდინარე ან/და განსახორციელებელი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის, აგრეთვე მოყვანილი და რეალიზებული მოსავლის, გაწეული მომსახურების სახეობის, რაოდენობის შესახებ და სხვა მონაცემები; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კადრების მომზადებისა და

გადამზადების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელმძღვანელი პირების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება.

იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ აღნიშნულ სფეროში საბიუჯეტო სახსრების ღია და გამჭვირვალე განკარგვას და სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, მნიშვნელოვანია სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ ჩართვა ფორუმის მონაწილედ და აღნიშნული სააგენტოს მხრიდან საქმიანობის ღიაობის ხელშემწყობი ვალდებულებების აღება.